საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-517

2022 წლის 21 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ივნისის №2-512 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 27 ივნისის №2-512 ბრძანებაში (ვებგვერდი, 29/06/2018, სარეგისტრაციო კოდი: 360160000.22.023.016526) შეტანილი იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის დებულების“:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ^{1}“ ქვეპუნქტი:

„დ^{1}) ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის შესახებ განცხადებების განხილვა, ბრძანების პროექტის მომზადება და სანებართვო მოწმობის გაცემა;“.

2. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ჟ^{1}) ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის შესახებ განცხადებების განხილვა და ბრძანების პროექტის მომზადება;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია**